



შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-5

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	10
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	16
4. შემოსავალი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან	16
5. სხვა შემოსავალი	17
6. შრომის ანაზღაურება	17
7. სხვა ხარჯები.....	17
8. ძირითადი საშუალებები.....	18
9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	19
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
11. ფული და ფულის ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრები.....	19
12. საკუთარი კაპიტალი	19
13. კაპიტალის მართვა.....	20
14. სესხები	20
15. გადავადებული შემოსავალი.....	21
16. ანარიცხები	21
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
18. ფინანსური რისკების მართვა.....	22
19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.....	23
20. დაკავშირებული მხარეები.....	24
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დავინიშნეთ შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ განხილული საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულების სისწორესა და არსებობაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებების სისწორის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია, შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო შეიძლება ყოფილიყო თუ არა კორექტირება ძირითად საშუალებებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც შეადგენენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის, კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგება მოიცავს სხვა ხარჯებს 223 ათასი ლარის ოდენობით (2023: 15,302 ათასი ლარი) (შენიშვნა 7), რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ უსასყიდლოდ გადაცემულ აქტივებს (არამატერიალური აქტივები და ძირითადი საშუალებები). გადაცემის მომენტში აღნიშნული ოპერაცია კომპანიას სტანდარტების შესაბამისად უნდა აესახა კაპიტალის უწყისში და არა სრული შემოსავლების ხარჯების ანგარიშზე, შესაბამისად ვერ მოვიპოვეთ რწმუნება კომპანიის განთავსებული კაპიტალის და სხვა ხარჯების სისრულესა და წარდგენაზე.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად, ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა რწმუნება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების არსებობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენილია 6,037 ათასი ლარის ოდენობით (2023: 6,762 ათასი ლარი) (შენიშვნა 9). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის ელემენტებში ამავე თარიღებით დასრულებული წლებისათვის.

კომპანიამ მოგვაწოდა მხოლოდ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული აღიარებული ანარიცხების და სასამართლო დავების სია. თუმცა, ჩვენ არ მოგვეწოდა ინფორმაცია 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ანარიცხის გაანგარიშების და შესაბამისად, წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების დეტალური ანალიზი. შედეგად, ვერ შევძელით დაგვედასტურობინა, სრულად და სწორად აღრიცხულია თუ არა აღნიშნული რეზერვის ცვლილება 2024 წლის მიმდინარე პერიოდში. ამავე დროს კომპანიას არ აქვს წარმოდგენილი შენიშვნებში ინფორმაცია რეზერვის მოძრაობის შესახებ. შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და სათანადო აუდიტორული მტკიცებულება იმის დასადგენად, საჭირო შეიძლება ყოფილიყო თუ არა კორექტირება რეზერვის მოძრაობასთან მიმართებაში და მის წარდგენაში.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 522 ათასი ლარის ღირებულებით (2023 წელს 1,099 ათასი ლარი) (შენიშვნა 10). ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები აღნიშნული მუხლის არსებით თანხებზე. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთების სისწორეში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის და, შესაბამისად, ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯის სისწორეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საერთო ჯამში 11,972 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 13,271 ათასი ლარი) (შენიშვნა 17). აღნიშნული თანხიდან 7,911 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 8,904 ათასი ლარი) წარმოადგენს სავაჭრო ვალდებულებებს, რომლის არსებობისა და სისწორის დასადასტურებლად ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები. ჩვენ ალტერნატიული აუდიტის პროცედურებითაც ვერ შევძელით ამ ნაშთების სისწორის დადასტურება.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტის მტკიცებულება 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასახულ გადასახდელი ხელფასების საწყის ნაშთებზე, რომელთა ოდენობა შეადგენდა 1,542 ათას ლარს. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს შემდგომი პერიოდის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. შესაბამისად, ჩვენთვის შეუძლებელი გახდა დაგვედგინა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა გადასახდელ ხელფასებთან მიმართებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან, რომლებიც შეადგენენ სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული წლისათვის.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობითი ანგარიშიზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობითი ანგარიშს. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობითი ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

– როგორც განმარტებულია ჩვენი „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველის*“ სექციაში, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველში*“ მითითებული გაურკვევლობის გამო. შესაბამისად, ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ჩვენ ვერ გამოგვაქვს დასკვნა იმასთან დაკავშირებით არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად არაზუსტი ამ მოვლენასთან მიმართებით.

– მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სხვა გარემოება

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ვერ მოპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება და უარი განაცხადა მოსაზრების გამოთქმაზე 2024 წლის 31 დეკემბერს.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა. თუმცა ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“, განხილული საკითხის გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეივ ვაი“

თბილისი, საქართველო

10 ოქტომბერი 2025

– მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სხვა გარემოება

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ვერ მოპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება და უარი განაცხადა მოსაზრების გამოთქმაზე 2024 წლის 31 დეკემბერს.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა. თუმცა ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“, განხილული საკითხის გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

10 ოქტომბერი 2025

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან	4	3,565	13,026
სხვა შემოსავალი	5	1,305	5,838
გადავადებული შემოსავლის აღიარება	15	10,650	738
სულ შემოსავლები		15,520	19,602
შრომის ანაზღაურება	6	(11,701)	(16,533)
სამედიცინო საქონელი		(1,198)	(8,822)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(2,648)	(4,458)
კომუნალური ხარჯი		(1,131)	(2,118)
რემონტის ხარჯი	16	(328)	(386)
ანარიცხის ხარჯის აღდგენა/(დარიცხვა)	10	5,572	(1,893)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი		15	(1,280)
სხვა ხარჯი	7	(1,872)	(17,670)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		2,229	(33,558)
საპროცენტო ხარჯი	14	(150)	(240)
საპროცენტო შემოსავალი	11	929	2,811
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(55)	(43)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		724	2,528
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,953	(31,030)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		2,953	(31,030)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)		2,953	(31,030)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 10 ოქტომბერს.

დირექტორი

ალექსანდრე მესხი
შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის
სახელობის ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“

ბუღალტერი

აზა შენგელია
შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის
სახელობის ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 11-24 გვერდებზე.

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან	4	3,565	13,026
სხვა შემოსავალი	5	1,305	5,838
გადავადებული შემოსავლის აღიარება	15	10,650	738
სულ შემოსავლები		15,520	19,602
შრომის ანაზღაურება	6	(11,701)	(16,533)
სამედიცინო საქონელი		(1,198)	(8,822)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(2,648)	(4,458)
კომუნალური ხარჯი		(1,131)	(2,118)
რემონტის ხარჯი	16	(328)	(386)
ანარიცხის ხარჯის აღდგენა/(დარიცხვა)	10	5,572	(1,893)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი		15	(1,280)
სხვა ხარჯი	7	(1,872)	(17,670)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		2,229	(33,558)
საპროცენტო ხარჯი	14	(150)	(240)
საპროცენტო შემოსავალი	11	929	2,811
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(55)	(43)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		724	2,528
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,953	(31,030)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		2,953	(31,030)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)		2,953	(31,030)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 10 ოქტომბერს.

დირექტორი

ალექსანდრე მესხი
 შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის
 სახელობის ცენტრალური
 საუნივერსიტეტო კლინიკა“

ბუღალტერი

აზა შენგელია
 შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის
 სახელობის ცენტრალური
 საუნივერსიტეტო კლინიკა“

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23 *გადაანგარიშებული	31-დეკ-22 *გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	19,130	21,903	37,458
არამატერიალური აქტივები		19	29	27
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,149	21,932	37,485
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	6,037	6,762	11,779
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	522	1,099	5,220
შეზღუდული ფულადი სახსრები	11	-	2,015	2,015
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	2,192	19,202	24,145
სულ მიმდინარე აქტივები		8,751	29,078	43,159
სულ აქტივები		27,900	51,010	80,644
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი		11,300	5,001	5,989
დაგროვილი მოგება		3,309	356	31,388
სულ საკუთარი კაპიტალი	12	14,609	5,357	37,377
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	14	13	13	13
გადავადებული შემოსავალი	15	-	20,699	24,305
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13	20,712	24,318
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები	14	778	5,570	2,000
ანარიცხები	16	528	6,100	4,204
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	11,972	13,271	12,745
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,278	24,941	18,949
სულ ვალდებულებები		13,291	45,653	43,267
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		27,900	51,010	80,644

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი (ზარალი)/მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თავდაპირველად წარდგენილი*	5,989	32,402	38,391
შეცდომების გასწორების ეფექტი	-	(1,016)	(1,016)
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	5,989	31,386	37,375
განთავსებული კაპიტალის შემცირება	(988)	-	(988)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(31,030)	(31,030)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,001	356	5,357
განთავსებული კაპიტალის გაზრდა	6,299	-	6,299
წლის მთლიანი სრული მოგება	-	2,953	2,953
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,300	3,309	14,609

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 11-24 გვერდებზე.

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		4,638	11,604
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი გადასახადები		(15,968)	(18,361)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(11,330)	(6,757)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(87)	-
მიღებული პროცენტები		929	539
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		842	539
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება	14	-	3,570
მიღებული სესხის დაფარვა	14	(5,570)	-
სესხის გაცემა		-	360
სესხის პროცენტის გადახდა	14	(150)	(240)
განთავსებული კაპიტალის გაზრდა	12	6,299	-
გადავადებულ შემოსავლად მიღებული თანხების დაბრუნება		(9,049)	(2,400)
სხვა ფინანსური ხარჯი		(11)	(19)
საფინანსო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(8,481)	1,271
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(18,969)	(4,947)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		21,217	26,160
საკუროს სხვაობის შედეგი ფულად სახსრებზე		(56)	4
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	2,192	21,217

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 11-24 გვერდებზე.

**შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)**

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., №29. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205165453, რეგისტრაციის თარიღი - 2006 წლის 3 ივლისი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის 100%-იანი წილის მფლობელია ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოა და გააგრძელებს თავის საქმიანობას უახლოეს მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელს განზრახვა აქვთ, განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. გარდა ამისა, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

გადაანგარიშება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფიქსირდა არსებითი სხვაობა კომპანიის ბრუნვით უწყისზე ასახულ საგადასახადო ვალდებულებებსა და საგადასახადო ბარათში აღრიცხულ დავალიანებას შორის. აღნიშნული სხვაობა ძირითადად გამოწვეული იყო წინა პერიოდში დაუსრულებლად დეკლარირებული სახელფასო ხარჯებით. შედეგად, კომპანიამ საგადასახადო საურავებისა და ჯარიმების დარიცხვის გათვალისწინებით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გადაანგარიშა 1,016 ათასი ლარით.

ქვემოთ მოცემული გადაანგარიშება განხორციელდა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	თავდაპირველად წარდგენილი	გადაანგარიშება	გადაანგარიშების შემდეგ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,255	1,016	13,271
მიმდინარე ვალდებულებები	23,925	1,016	24,941
სულ ვალდებულებები	44,637	1,016	45,653
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	51,010	-	51,010

ქვემოთ მოცემული გადაანგარიშება განხორციელდა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	თავდაპირველად წარდგენილი	გადაანგარიშება	გადაანგარიშების შემდეგ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,729	1,016	12,745
მიმდინარე ვალდებულებები	17,933	1,016	18,949
სულ ვალდებულებები	42,251	1,016	43,267
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	80,644	-	80,644

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

2.3 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არებობს რიგი ახალი სტანდარტების, რომლებიც ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ, და უფრო ადრეული გამოყენება ნებადართულია; თუმცა, კომპანიას არ გამოუყენებია ახალი ან შესწორებული სტანდარტები ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და შესწორებულ სტანდარტებს არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- *ფასს (IFRS) 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“*
- *ბასს (IAS) 21-ის ცვლილება: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“*
- *ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).*

2.4. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა მომსახურების გაწევა დასრულებულია, ამ შემოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯების შესაბამისად. შემოსავალი არის მომსახურების საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

2.5. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.6. იჯარა

საიჯარო გადასახადი, რომელიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშობა ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

მოკლევადიანი იჯარები (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა (როგორიცაა პერსონალური კომპიუტერები და საოფისო ავეჯი), აღიარებულია საიჯარო ხარჯებში წრფივი მეთოდის გამოყენებით ფასს 16-ის შესაბამისად. ნებისმიერი მოგება/(ზარალი), რომელიც წარმოიშობა საიჯარო კონტრაქტების გაუქმების ან შეცვლის შედეგად, მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კატეგორიას.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.7. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდიანებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI)“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

2. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- ჯგუფმა გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დავიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) ჯგუფმა გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) ჯგუფს არც გაუსხვისებია და არც ინარჩუნებს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერის შესაბამისად:

2. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოიწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლდება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს და გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ექვივალენტებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით საადრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ ფულად საშუალებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

2.10 მიღებული გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ: ა) საწარმო შესრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტი აღიარდება შემოსავლად მთლიანი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.

2.11. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი		
	2024	2023	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
1 აშშ დოლარი	2.7208	2,6598	2.8068	2,6998	2,7020
1 ევრო	2.9440	2,8785	2.9306	3,0159	2,8844

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.12. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩათვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2.13. ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შემძინილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითად საშუალებები და არამატერიალური აქტივები იცვითება/ამორტიზირდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

4. შემოსავალი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურება ფაქტობრივად გაწეულია და პაციენტი გაწერილია. შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოიშობა უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გაწევიდან. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 3,565 ათასი ლარი (2023 წელი: 13,026 ათასი ლარი).

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერი
 (ათას ქართულ ლარში)

5. სხვა შემოსავალი

	2024	2023
უსისასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო- მატერიალური მარაგები	348	4,659
სხვა	957	1,179
სულ სხვა შემოსავალი	1,305	5,838

6. შრომის ანაზღაურება

კლინიკაში არსებობს ფიქსირებული და გამომუშავებული ხელფასი, რომელიც გაანგარიშდება პაციენტის მიერ სტაციონარში გატარებული დღეების, ამბულატორიული ვიზიტების, ჰონორარების და მორიგეობების მიხედვით. შრომის ანაზღაურება წარმოადგენს კომპანიის ხარჯების უდიდეს ნაწილს: 2024 წელი 11,701 ათასი ლარი (2023 წელი: 16,533 ათასი ლარი).

7. სხვა ხარჯები

	2024	2023
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	382	221
დაცვის ხარჯი	307	200
უსასყიდლოდ გაცემული აქტივების ღირებულება	223	15,302
საპენსიო შენატანები	133	-
კვების ხარჯი	94	432
აუდიტის და კონსულტაციის ხარჯი	84	216
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი	77	286
სხვა	572	1,013
სულ სხვა ხარჯი	1,872	17,670

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება						
31 დეკემბერი 2022	1,130	3,171	37,972	22	5,753	48,048
შეძენა	51	138	4,001	34	16	4,240
გასვლა/ჩამოწერა	(211)	(1,315)	(18,925)	-	(20)	(20,471)
31 დეკემბერი 2023	970	1,994	23,048	56	5,749	31,817
შეძენა	6	-	81	-	-	87
გასვლა/ჩამოწერა	(18)	-	(235)	-	-	(253)
31 დეკემბერი 2024	958	1,994	22,894	56	5,749	31,651
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2022	(435)	(723)	(8,904)	(14)	(515)	(10,591)
წლის ცვეთა	(154)	(243)	(3,712)	-	(348)	(4,457)
გასვლა/ჩამოწერა	100	266	4,768	-	-	5,134
31 დეკემბერი 2023	(489)	(700)	(7,848)	(14)	(863)	(9,914)
წლის ცვეთა	(119)	(152)	(2,027)	(4)	(346)	(2,648)
გასვლა/ჩამოწერა	4	-	37	-	-	41
31 დეკემბერი 2024	(604)	(852)	(9,838)	(18)	(1,209)	(12,521)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	481	1,294	15,200	42	4,886	21,903
31 დეკემბერი 2024	354	1,142	13,056	38	4,540	19,130

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სამედიცინო საქონელი	6,033	6752
სხვა მარაგები	4	10
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6,037	6,762

სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,836	24,428
გაუფასურების რეზერვი	(23,314)	(23,329)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	522	1,099

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის არსებითი.

„სოციალური მომსახურების სააგენტო“ ("SSA") არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე. SSA იხდის დავალიანებას კომპანიის მიმართ მისი წარმოქმნიდან დაახლოებით 5 თვის განმავლობაში.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

1 იანვარი 2023	(22,049)
პერიოდში რეზერვის ცვლილება	(1,280)
31 დეკემბერი 2023	(23,329)
პერიოდში რეზერვის ცვლილება	15
31 დეკემბერი 2024	(23,314)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,926	19,114
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	265	86
ნაღდი ფული სალაროში	1	2
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,192	19,202

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული ფულის ნაშთი წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის დაგირავებულ 2,015 ათასი ლარის ფულად სახსრებს კომპანიის საბანკო ანგარიშიდან, რომლის გამონთავისუფლება მოხდა 2024 წელს.

2024 და 2023 წლების განმავლობაში, მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლი შეადგენს, 929 ათას ლარს და 2,811 ათას ლარს, შესაბამისად.

12. საკუთარი კაპიტალი

(ა) განთავსებული კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის განთავსებული კაპიტალი განსაზღვრულია 11,300 ათასი ლარით. (2023 წლის 31 დეკემბერი: 5,001 ათასი ლარი). 2024 წლის განმავლობაში მფლობელის მიერ საწესდებო კაპიტალში შეტანატანი შეადგენს 6,299 ათას ლარს.

(ბ) დაგროვილი მოგება

31 დეკემბერი 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლების მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი მოგება შეადგენდა 3,309 ათას ლარს და 356 ათას ლარს, შესაბამისად.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა, კომპანია მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ძლიერი კაპიტალური ბაზა, კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების მხარდასაჭერად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ზომების გამოყენებით, კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

კომპანიის კორექტირებული წმინდა დავალიანების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან არის შემდეგი:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სულ ვალდებულებები	13,291	45,653
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(2,192)	(19,202)
წმინდა ვალდებულებები	11,099	26,451
სულ საკუთარი კაპიტალი	14,609	5,357
წმინდა ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან	0.76	4.94

14. სესხები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

	31-დეკ-24	31-დეკ-23
გრძელვადიანი სესხები	13	13
მოკლევადიანი სესხები	778	5,570
სულ სესხები	791	5,583

(ა) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი				31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
სესხები	პირობა	ვალუტა	დასრულების თარიღი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სს							
"საქართველო ს ბანკი"	13.65%	ლარი	04.03.2024	-	-	3,570	3,570
სს. „ლიბერთი ბანკი"	13.65%	ლარი	28.02.2024	-	-	2,000	2,000
ა(ა)იკ							
საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	0%	ლარი	მოთხოვნამდე	791	791	13	13
				791	791	5,583	5,583

14. სესხები (გაგრძელება)

(ბ) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

	2024	2023
	სესხები და კრედიტები	სესხები და კრედიტები
'000 ლარი		
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 1 იანვრის მდგონარობით	5,583	2,013
<i>ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან</i>		
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	-	3,570
სესხის ძირის დაფარვა	(5,570)	-
<i>სხვა ცვლილებები</i>		
ტრანსფერი გადავადებული შემოსავლიდან (შენიშვნა 15)	778	-
სესხის პროცენტის დაფარვა	(150)	(240)
სესხზე დარიცხული პროცენტი	150	240
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 31 დეკემბრის მდგონარობით	791	5,583

15. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაგან და ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისგან მიღებულ დაფინანსებას სხვადასხვა კონკრეტული მიზნობრივობით. გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია ხდება იმ ხარჯების პროპორციულად, რომლისთვისაც დაფინანსება იქნა მიღებული. 2024 წლის განმავლობაში, კლინიკამ 9,049 ათასი ლარი უკან დაუბრუნა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს ბრძანების შესაბამისად, ხოლო 10,650 ათასი ლარი გამოიყენა ხელშეკრულებით განსაზღვრული კონკრეტული მიზნობრივობის შესაბამისად, რომლის აღიარებაც მოხდა მიმდინარე წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ამასთანავე, მიღებული დაფინანსებიდან კომპანიას დაეკისრა 1,000 ათასი ლარის უკან დაბრუნების ვალდებულება. აღნიშნული ტრანზაქცია აღიარებული იქნა როგორც მოთხოვნამდე სასესხო ვალდებულება მშობელი კომპანიისაგან 0%-იანი საპროცენტო განაკვეთით. რომლის დაფარვაც ხდება ეტაპობრივად და მიმდინარე ნაშთი არის 778 ათასი ლარი (იხილეთ შენიშვნა 14).

16. ანარიცხები

ანარიცხები წარმოადგენს სასამართლო დავებთან დაკავშირებულ თანხებს, რომლის წაგების ალბათობა, მენეჯმენტის შეფასებით, 50%-ს აღემატება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებული სასამართლო დავების ანარიცხი შეადგენს 526 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 6,100 ათას ლარს).

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-24	31-დეკ-23 (გადაანგარიშებუ ლი)	31-დეკ-22 (გადაანგარიშებუ ლი)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	7,911	8,904	9,324
გადასახდელი გადასახადები	3,545	2,825	2,380
გადასახდელი ხელფასები	516	1,542	998
მიღებული ავანსი	-	-	43
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,972	13,271	12,745

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

18. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2024	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	5 + წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	522	-	-	522
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,192	-	-	2,192
სულ ფინანსური აქტივები	2,714	-	-	2,714
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	(778)	(13)	-	(791)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(11,972)	-	-	(11,972)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(12,750)	(13)	-	(12,763)
წმინდა ლიკვიდობის სხვაობა	(10,036)	(13)	-	(10,049)

31 დეკემბერი 2023	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	5 + წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,099	-	-	1,099
შეზღუდული ფულადი სახსრები	2,015	-	-	2,015
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,202	-	-	19,202
სულ ფინანსური აქტივები	22,316	-	-	22,316
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	(5,570)	(13)	-	(5,583)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(13,271)	-	-	(13,271)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(18,841)	(13)	-	(18,854)
წმინდა ლიკვიდობის სხვაობა	3,475	(13)	-	3,462

31 დეკემბერი 2022	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	5 + წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,220	-	-	5,220
შეზღუდული ფულადი სახსრები	2,015	-	-	2,015
ფული და ფულის ეკვივალენტები	24,145	-	-	24,145
სულ ფინანსური აქტივები	31,380	-	-	31,380
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	(2,000)	(13)	-	(2,013)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(12,745)	-	-	(12,745)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(14,745)	(13)	-	(14,758)
წმინდა ლიკვიდობის სხვაობა	16,635	(13)	-	16,622

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია არსებითი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები.

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს რაც შეიძლება ზუსტად იქნას განსაზღვრული ღირებულება, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა შესაძლებელია კარგად გათვითცნობიერებულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რომელთაც დანამდვილებით სურთ ამგვარი გარიგების დადება. თუმცა, არსებული გაურკვევლობისა და შეფასების სუბიექტურობის გამო, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას განხილული ღირებულებად, რომლითაც შესაძლებელია აქტივების დაუყოვნებლივ რეალიზება ან ვალდებულებების შესრულება.

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:

	დონე	2024 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 10)	დონე 3	522	522
ფულადი და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 11)	დონე 1	2,192	2,192
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები (შენიშვნა 14)	დონე 3	(791)	(791)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 17)	დონე 3	(11,972)	(11,972)
	დონე	2023 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 10)	დონე 3	1,099	1,099
შეზღუდული ფულადი სახსრები (შენიშვნა 11)	დონე 1	2,015	2,015
ფულადი და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 11)	დონე 1	19,202	19,202
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები (შენიშვნა 14)	დონე 3	(5,583)	(5,583)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 17)	დონე 3	(13,271)	(13,271)

20. დაკავშირებული მხარეები

მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

ოპერაციები მმართველ რგოლთან:

	2024	2023
დირექტორის ანაზღაურება	55	51
სულ	55	51

ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია ყოველდღიურად აღზორციელებს ოპერაციებს რიგ ორგანიზაციებთან, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ინდივიდუალურად ან ერთობლივად აკონტროლებს. კომპანია იყენებს გათავისუფლების პუნქტს ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები, პარაგრაფი 25) მიხედვით, რაც მას საშუალებას აძლევს მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს წარუდგინოს შემცირებული ინფორმაცია ოპერაციების შესახებ.

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან ტრანზაქცია, რომელიც საჭიროებდა კორექტირებას ან ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.



შ.პ.ს. "აკადემიკოს
ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"

მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

სარჩევი

1. შესავალი	3
2. საქმიანობის მიმოხილვა.....	3
3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები.....	4
4. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები ..	4

1. შესავალი

აღნიშნული დოკუმენტის მიზანია, დაინტერესებულ პირებს მისცეს შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება. აღნიშნული ანგარიშგების დახმარებით, მათ შეუძლიათ, როგორც კომპანიის სამომავლო პერსპექტივების და ძირითადი რისკების შეფასება.

2. საქმიანობის მიმოხილვა

2.1 კომპანიის შესახებ

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ (“Academician N. Kipshidze Central University Clinic, LLC”) დაარსდა 2006 წლის 3 ივლისს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საიდენტიფიკაციო კოდი 205165453). კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., N29. 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრე არის მმართველია ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“ (402157330).

2.2. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ

რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო (რომლის სამართალმემკვიდრეა შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“) გაიხსნა 1973 წელს, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსუ) მთავარი კლინიკური ბაზა. თავიდან საავადმყოფო გათვლილი იყო 1100 საწოლზე და წარმოადგენდა ყველაზე დიდი კლინიკის სსრკ-ის ამიერკავკასიის ნაწილში. მასში თსუ-ის 14 კლინიკური დეპარტამენტი და კათედრა იყო განთავსებული. 2006 წელს მთავარ შენობას მიემატა 3-სართულიანი ე. წ. „გადაუდებელი დახმარების“ („ემერჯენსის“) შენობა.

2020 წელს კომპანიას დაემატა რუხის კლინიკა, რომელიც ამავე წლის აპრილიდან ფუნქციონირებს, რომლის გამოყოფაც მოხდა 2023 წელს.

2024 წლის განმავლობაში კომპანიაში თანამშრომლების საშუალო რაოდენობამ შეადგინა 907 (2023 წელს: 1,254).

2.3. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ განვითარების კონცეფციასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმებზე მიმდინარეობს მუშაობა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად.

2.4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 და 2023 წლების საოპერაციო საქმიანობის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

	2024	2023
საოპერაციო მოგების მარჟა	(14)%	(171)%
წმინდა მოგების მარჟა	(19)%	(158)%
მიმდინარე კოეფიციენტი	0.66	1.17
სწრაფი კოეფიციენტი	0.20	0.89

2.5. ინფორმაცია კომპანიის საკუთარი აქციების შესახებ

კომპანიის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და 100%-იანი წილის მესაკუთრე არის ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

2.6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტი აცნობიერებს, რომ რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი საგადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება. ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში. ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუძლია დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა კომპანიის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. მათი ნაშრომები იბეჭდებოდა სამეცნიერო ჟურნალებში. კომპანია აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში. კომპანიისა და თანამშრომლების ასეთი აქტიურობა საშუალებას იძლეოდა კომპანიის ექიმების მაქსიმალურად პროფესიონალური დონის ამაღლებას და თავიანთ საქმიანობაში გამოყენებინათ მედიცინის სფეროს უახლესი მიღწევები.

4. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

დირექტორი

ალექსანდრე შესბი

2025 წლის 10 ოქტომბერი

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში. ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა კომპანიის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. მათი ნაშრომები იბეჭდებოდა სამეცნიერო ჟურნალებში. კომპანია აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში. კომპანიისა და თანამშრომლების ასეთი აქტიურობა საშუალებას იძლეოდა კომპანიის ექიმების მაქსიმალურად პროფესიონალური დონის ამაღლებას და თავიანთ საქმიანობაში გამოყენებინათ მედიცინის სფეროს უახლესი მიღწევები.

4. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

დირექტორი

.....

ალექსანდრე მესხი

2025 წლის 10 ოქტომბერი